<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190020.04.001.016032) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამ კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის VIII² თავი:

,,თავი VIII². საქართველოს პარლამენტის არჩევნებში სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლის მიერ
არჩევნებში დისტანციურად (online) მონაწილეობის წესი და პირობები

მუხლი 76³. დისტანციური (online) არჩევნების მნიშვნელობა და საფუძვლები

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქე არჩევნებში მონაწილეობას იღებს დისტანციურად, ინტერნეტის გამოყენებით, ამ თავის შესაბამისად დადგენილი ზოგადი წესისა და პროცედურების შესაბამისად.

2. ამ თავის შესაბამისად დადგენილი პროცედურების პრინციპები ემყარება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.

3. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია ხელი შეუწყოს სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიერ ხმის მიცემის კონსტიტუციური უფლების შეუფერხებლად განხორციელებას.

4. სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლები მონაწილეობას იღებენ საპარლამენტო არჩევნებში დისტანციურად და ხმის მიცემას ახორციელებენ ინტერნეტის მეშვეობით, სპეციალური ვებ-პლატფორმის (შემდგომში-პლატფორმა) გამოყენებით.

5. სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლის მიერ დისტანციური (online) მეთოდით ხმის მიცემა წარმოადგენს არჩევნებში მონაწილეობის ალტერნატიულ

საშუალებას ტრადიციული მეთოდით საარჩევნო კოდექსით დადგენილ წესთან ერთად.

6. სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლების ერთობლიობა წარმოადგენს დამოუკიდებელ საარჩევნო ოლქს და მათ შედეგებს ცალკე ოქმით აჯამებს ცესკო.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურები, აგრეთვე დისტანციური არჩევნების ჩატარების წესი და პროცედურები განისაზღვრება ცესკოს დადგენილებით.

8. არჩევნების ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფორმით ჩატარებას ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 76[9]. ხმის მიცემის ძირითადი პრინციპები

1. სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩეველი ხმის მიცემას ახორციელებს ინტერნეტზე დაფუძნებული პლატფორმის მეშვეობით.

2. ხმის მიცემის სპეციალური პლატფორმა შექმნილია როგორც ინტუიტიური, მარტივად გამოყენებადი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი რესურსი.

3. პლატფორმა წარმოადგენს ვებ-ბრაუზერისა და სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით მართვად პროცესს, რომლის საშუალებითაც ამომრჩეველი უშუალოდ, დისტანციურად ახორციელებს ხმის მიცემას.

4. სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩეველი დისტანციურად მონაწილეობს საქართველოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, მიუხედავად მისი ადგილსამყოფელისა.

მუხლი 76[10]. ამომრჩეველთა სიების ფორმირება

1. სხვა სახელმწიფოში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო სიის ფორმირება ხორციელდება წინასწარი რეგისტრაციის მეშვეობით.

2. წინასწარი რეგისტრაცია იწყება საარჩევნო წლის პირველ მარტს და წყდება კენჭისყრამდე 40 დღით ადრე.

3. სხვა სახელმწიფოში მყოფ საქართველოს მოქალაქეს, ხმის მიცემის შესაძლებლობა ექნება მხოლოდ მას შემდგომ, რაც არჩევნებში მონაწილეობის მიზნით დარეგისტრირდება სპეციალურ ვებგვერდზე და მიენიჭება ამომრჩევლის სტატუსი.

4. წინასწარი რეგისტრაცია ხორციელდება ამომრჩევლის პირადი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ადგილმდებარეობა) და ბიომეტრიული (სახის ამომცნობი/Face ID) მონაცემების საფუძველზე.

5. ამომრჩევლის მიერ პირადი მონაცემების შეყვანა ხდება პლატფორმის შესაბამის ველებში. ამომრჩევლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების (პასპორტი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) შემოწმება კი ხორციელდება ელექტრონული

მოწყობილობის (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, პლანშეტი) კამერის საშუალებით ფოტოს გადაღების მეშვეობით. საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ფოტოზე არსებული მონაცემები უნდა შედარდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში არსებულ შესაბამის ბაზებსა და ცესკოს მონაცემებთან.

6. დისტანციურ ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი პროცედურების დაცვით:

ა) პლატფორმაზე ამომრჩეველი უთითებს სახელს, გვარს, პირად ნომერს, ელექტრონულ ფოსტასა და ტელეფონის ნომერს;

ბ) ელექტრონული მოწყობილობის კამერის მეშვეობით, ხდება ამომრჩევლის სახის პარამეტრების დაფიქსირება (Face ID), მისი შესაბამის ბაზებთან შედარების მიზნით;

გ) ელექტრონული მოწყობილობის კამერის მეშვეობით, ხდება ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის დაფიქსირება ამომრჩევლის იდენტიფიკაციის მიზნით.

7. ამ მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად რეგისტრირებულ პირთა მონაცემებს ამოწმებს ცესკო, ახდენს შესაბამისი სტრუქტურების მიერ მიწოდებულ ბაზებთან პირადი მონაცემების და ამომრჩევლის ფოტოსურათის შედარებას და დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რეგისტრაციიდან 72 საათის განმავლობაში ანიჭებს დისტანციური ამომრჩევლის სტატუსს.

8. დისტანციური ამომრჩევლის სტატუსი პირს მიენიჭება იმ შემთხვევაში თუ;

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ) აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) რეგისტრირებულია ამომრჩეველთა ერთიან სიაში:

დ) მისი ბიომეტრიული და პირადი მონაცემები ემთხვევა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში არსებულ და ცესკოს შესაბამისი ბაზების მონაცემებს;

გ) დაფიქსირებულია მის მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა და არ აქვს გადმოკვეთილი საზღვარი.

9. დისტანციური ამომრჩევლის სტატუსის მინიჭების შემდგომ ამომრჩეველს ელექტრონულად ეგზავნება მომხმარებლის სახელი და პაროლი.

10. ცესკოს ყველა წევრს უფლება აქვს, მისთვის მინიჭებული სპეციალური ციფრული გასაღების მეშვეობით დააკვირდეს (მონაცემთა ცვლილების უფლების გარეშე) დისტანციური ამომრჩევლის რეგისტრაციის და მისთვის დისტანციური ამომრჩევლის სტატუსის მინიჭების პროცესის ნებისმიერ ეტაპს.

11. მხოლოდ დისტანციური ამომრჩევლის სტატუსის მქონე პირს ენიჭება დისტანციურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

12. საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ ერთიანი სიაში, შესაბამისი ამომრჩევლის გასწვრივ, გრაფაში - ფაქტობრივი მდგომარეობა, მიეთითება ,,დისტანციური ამომრჩეველი“.

13. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული ამომრჩეველი, გადაწყვეტს ხმის მიცემას საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საარჩევნო უბანში, მას შეუძლია სისტემის მეშვეობით, კენჭისყრის დღემდე 40 დღით ადრე გააუქმოს დისტანციური ამომრჩევლის სტატუსი.

14. თუ ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული ამომრჩეველი, კენჭისყრის დღემდე 40 დღის განმავლობაში გადმოკვეთს საქართველოს საზღვარს, მას შეუძლია ხმა მისცეს ამომრჩეველთა ერთიანი სიის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საარჩევნო უბანში. კენჭისყრაში მონაწილეობისთვის აუცილებელია ამომრჩეველმა წარადგინოს საქართველოს მოქალაქის პასპორტში ჩანაწერი საზღვრის კენჭისყრამდე 40 დღის განმავლობაში კვეთის თაობაზე.

15. არჩევნების დღემდე 5 დღით ადრე, ცესკო მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისტანციური ამომრჩევლის სტატუსის მქონე საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნით. იმ პირებს, რომლებმაც ბოლო მონაცემებით გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი, გაუუქმდებათ დისტანციური ამომრჩევლის სტატუსი.

მუხლი 76[11]. ხმის მიცემის პროცედურები

1. დისტანციური (online) კენჭისყრა მიმდინარეობს 24 საათის განმავლობაში, იწყება არჩევნების წინა დღის 20:00 საათზე და მთავრდება არჩევნების დღის 20:00 საათზე.

2. სისტემაში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან და ამომრჩევლის იდენტიფიკაცია ხორციელდება პირადი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ადგილმდებარეობა, ქვეყნის IP მისამართი) და ბიომეტრიული (სახის ამომცნობი/Face ID) მონაცემების საფუძველზე.

3. კენჭისყრაში მონაწილეობისა და იდენტიფიკაციის მიზნით ამომრჩეველი თანამიმდევრულად ახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

ა) საარჩევნო ვებ პლატფორმაზე შეიყვანს წინასწარი რეგისტრაციის დროს მიღებულ მომხმარებლის სახელსა და პაროლს;

ბ) ელექტრონული მოწყობილობის კამერის მეშვეობით, აფიქსირებს სახის პარამეტრებს (Face ID), შესაბამის ბაზებთან შედარების მიზნით;

გ) ელექტრონული მოწყობილობის კამერის მეშვეობით, აფიქსირებს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას/პასპორტს ამომრჩევლის იდენტიფიკაციის მიზნით;

დ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული იდენტიფიცირების პროცესის დასრულების შემდგომ, ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით იღებს სპეციალურად გენერირებულ კოდს, რომელსაც შეიყვანს შესაბამის ველში;

ე) ამომრჩეველს მოწყობილობის ეკრანზე ეძლევა საარჩევნო ბიულეტენი და აფიქსირებს თავის არჩევანს;

ვ) ამომრჩევლის მიერ არჩევანის დაფიქსირებისა და სისტემის მიერ საბოლოო დადასტურების შემდგომ, ამომრჩეველს აღარ შეუძლია შეცვალოს თავისი არჩევანი.

მუხლი 76[12]. დისტანციური (online) არჩევნების შეჯამება და უსაფრთხოება

1. ხმის მიცემის საიდუმლოების დასაცავად, სისტემა ახორციელებს ელექტრონულ ორმაგ დაშიფვრას. ხელმოწერილი და დაშიფრული ხმა იგზავნება შესაბამის სერვერზე დაშიფრული ფენის მეშვეობით, სადაც ის უსაფრთხოდ ინახება სრულად დაშიფრულ მდგომარეობაში არჩევნების დასრულებამდე.

2. არჩევნების დასრულების შემდგომ, ელექტრონული ხმები კრიპტოგრაფიულად ირევა ხმების თანმიმდევრობის შემთხვევითობის პრინციპით, რათა შენარჩუნდეს ხმის მიცემის ანონიმურობა და გაწყდეს კავშირი ამომრჩეველსა და მის მიერ დაფიქსირებულ არჩევანს შორის.

3. ზემოაღნიშნული პროცესების განხორციელების შემდგომ, საარჩევნო შედეგები დაუყოვნებლივ უნდა გასაჯაროვდეს ცესკოს ოფიციალურ ვებ გვერდზე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი